



მოდერნის სტილის გამაჯანსაღებელი შენობები თბილისში

უძველეს ქრისტიანულ ქვეყანას, საქართველოს, ბიზანტიის იმპერიის დაცემამ ევროპასთან აქტიური კონტაქტები რამდენიმე საუკუნით დააკარგინა. მუდმივი თავდაცვითი ომებით დასუსტებული საქართველო 1801 წელს რუსეთის იმპერიას შეუერთდა. კავკასიაში ჩვენი ქვეყნის, როგორც ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოს ისტორიული სტატუსისა და აგრეთვე მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით საქართველო იმპერიის სამხრეთ ნაწილის, ამიერკავკასიის, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრი გახდა.

საქართველო საუკუნეების განმავლობაში ცნობილი იყო, როგორც სტრატეგიული პუნქტი და ევროპა-აზიის დამაკავშირებელი მთავარი სავაჭრო გზების თავშესაყარი, და თუ ეს ადრე მისთვის ხშირი ნგრევისა და აოხრების საბაბი ხდებოდა, ახლა მის სწრაფ ეკონომიურ წინსვლასა და კულტურულ განვითარებას შეუწყობ ხელი. ამ საქმეში უდიდეს როლს თამაშობდა შავი ზღვა - უმოკლესი გზა ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისკენ.

ქვეყნის აღმავლობას, მოსახლეობის მატება და შესაბამისად მშენებლობის ინტენსიური ზრდა მოჰყვა. მაგრამ, მდიდარი საამშენებლო გამოცდილებისა და არქიტექტურული ტრადიციების მქონე ერი დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა: იმპერიული პოლიტიკა ითხოვდა მშენებლობის წარმოებას მხოლოდ წინასწარ შემუშავებული პროექტების განხორციელებით, რაც ე. წ. „რუსული კლასიციზმის“, სტილში შესრულებული ნაგებობების შენებას ითვალისწინებდა.

ძალიან ძნელი იყო ძლიერი, უცხო კულტურისაგან თავის დაცვა. თუმცა, საცხოვრებელ არქიტექტურაში, იქ, სადაც სახელმწიფო მოთხოვნები და კონტროლიც ნაკლებად იყო, მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენა – ადგილობრივი მაცხოვრებლისა და მშენებელ-ოსტატთა ძალისხმევით, საცხოვრებელი სახლი ითავისებს რა უცხო ფორმებს, თავისი ტრადიციებისა და ცხოვრების წესის გათვალისწინებით, შეიმუშავებს და წარმოადგენს სრულიად ახალ არქიტექტურას. „რუსული კლასიციზმისა“, და ისტორიული ქართული ელემენტების ნაზავს – ქალაქურ საცხოვრებელ სახლს, რომლის უმთავრესი ნიშანია ხის აივნებით შემკული ფასადები (2-7).

XIX ს-ის შუა წლებიდან ევროპის გავლენით საქართველოშიც ფართოდ ვრცელდება ეკლექტიკური ფასადის მქონე შენობები ხის აივნიანი ქალაქური სახლები შეცვალა უაივნო ან რკინის აივნებით მორთულმა, სხვადასხვა სტილთა

აღრევით გაფორმებულმა სახლებმა. საყურადღებოა მათი დეკორის შესრულების ხარისხი, რაც იმდროინდელ ხელოსანთა მაღალ ოსტატობას ადასტურებს (8-14). საქართველოში, კაპიტალიზმის დაგვიანებით შემოსვლასა და ეკონომიური სისუსტის გამო, ევროპასთან შედარებით ხანგრძლივად იქნა გამოყენებული ოსტატ-ხელოსანთა შემოქმედება.

ხელოსანთა მოღვაწეობა პროფესიების მიხედვით ნაწილდებოდა სპეციალურად შედგენილი ჯგუფების – ამქრების მეშვეობით. განსაკუთრებით დიდხანს, XX ს-ის 20-იან წლებამდე, იარსებეს სამშენებლო საქმისათვის საჭირო პროფილის ამქრებმა, რადგან მშენებლობა სულ უფრო ინტენსიური ხდებოდა, და ამის გამო ოსტატთა აქტიური მოთხოვნის საჭიროებაც მუდმივად არსებობდა. ანუ, საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა სწორედ ისეთი იყო, რასაც XIX საუკუნის შუახანს თანამედროვე ინდუსტრიალიზაციით შემფორთებული უილიამ მორისი ნატრობდა და ოცნებობდა.

XIX ს-ის დასასრულს ევროპაში ჩამოყალიბებული ახალი სტილი, რომელსაც საქართველოში მოდერნს ვუწოდებთ, სხვადასხვა სახელით - Art Nouveau, Jugendstil, Secession, Liberty და სხვ. სწრაფად დამკვიდრდა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც. ინფორმაცია მოდერნის შესახებ რუსეთიდან და აგრეთვე ევროპიდან უმოკლესი გზით - შავი ზღვის გავლით შემოდიოდა და დაუბრკოლებლად ვრცელდებოდა პროფესიული თუ პოპულარული ჟურნალების საშუალებით; აგრეთვე სამოგზაუროდ, სამუშაოდ, თუ სასწავლებლად წასული მოქალაქეების მეშვეობით.

საქართველოში დღემდე შემორჩენილი მოდერნის მრავალრიცხოვანი შენობები და აგრეთვე საარქივო წყაროებში დაცული მდიდარი მასალა, რომელიც სხვადასხვა ქალაქებშია განთავსებული. სამწუხაროდ, შესწავლილია მხოლოდ თბილისში არსებული მასალა და ისიც ნაწილობრივ, თუმცა სავსებით საკმარისია იმის აღსანიშნავად, რომ საქართველოში მოდერნის სტილის ბევრი, განსხვავებული ფუნქციის შენობის პროექტი შესრულდა (15-18).

საქართველოში მოდერნის სტილით შენდებოდა არა მარტო დედაქალაქ თბილისში, არამედ სხვა, შედარებით პატარა ქალაქებში: სოხუმში, ბათუმში (19-21), ფოთში (22-23), ქუთაისში (24-25), გაგრაში, ახალ ათონში, ქობულეთში (26), დუშეთში (27).

მათგან პირველი სამი - საპორტო, მეოთხე – სამრეწველო, მომდევნო სამი – საკურორტო ქალაქია, მაგრამ დუშეთი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონის პატარა ადმინისტრაციული დაბა, აქ არსებული მოდერნის სტილის შენობით ამტკიცებს, რომ ეს სტილი ჩვენში მართლაც დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

თბილისში ხშირად ეწეობოდა სხვადასხვა სახის რეგიონალური თუ საერთაშორისო გამოფენები. 1901 წლის საიუბილეო გამოფენაზე, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავს მიძღვნა, პირველად ჩნდება მოდერნის სტილის ნაგებობა - ძმები ნობელის ამხანაგობის პავილიონი, რომელიც გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის, იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული ქანდაკებებით იყო გაფორმებული (28). სამწუხაროდ, დღეს ეს შენობა აღარ არსებობს.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს პროფესიონალმა სპეციალისტებმა და ოსტატ-ხელოსნებმა ეროვნული, ტრადიციული ნიშანი შეიტანეს ინტერნაციონალური ხასიათის მოდერნში. ეს საცხოვრებელი სახლების ეზოსკენ მიმართულ ფასადებზე მოწყობილი ხის აივნებია – ევროპულისა და ტრადიციულის ჰარმონიული თანაარსებობის საუკეთესო მაგალითი და ჩვენი მოდერნის კიდევ ერთი საინტერესო თავისებურება (29-36).

ძალიან ხშირია, როცა თავადაც ევროპულ, ეკლექტური სტილის შენობებს გააჩნიათ მოდერნის დეტალები, მაგრამ როცა XIX ს-ის თბილისურ ტრადიციულ საცხოვრებელ სახლებზეც იგივე შეინიშნება - ეს ჩვენი მოდერნის კიდევ ერთ, მნიშვნელოვან თავისებურებაზე მეტყველებს (37).

ეს სტილი იმდენად პოპულარული იყო საქართველოში, რომ მას ხშირად იყენებდნენ რეკონსტრუქციებშიც. ამის უჩვეულო მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ ყოფილი არწრუნის ქარვასლა თბილისში: 1650 წელს აშენებულ და შემდგომ ბევრჯერ დანგრეულ და განახლებულ შენობას, 1912 წელს მოდერნის სტილის ფასადით ამკობენ (38).

მოდერნის სტილით უმეტესად საცხოვრებელი და საშემოსავლო სახლები შენდებოდა, მაგრამ ძალზე ხშირია სხვა დანიშნულების შენობებიც: ბანკები, სასწავლებლები, მაღაზიები, საავადმყოფოები, სახელოსნოები, თეატრები, ორანჟერეა. აღსანიშნავია, რომ გაგვაჩნია აგრეთვე მოდერნის სტილის თამბაქოს ფაბრიკა (39). და თბო-ელექტროსადგური თბილისში (40). (რომელსაც ახლა მთლიანად ანგრევს ახალი მფლობელი), ხოლო ბიბლიოთეკა (41). და ეტლების სადგომი (42). - ფოთში. მოდერნის შესანიშნავი მემორიალური ძეგლებია დაცული ძველ, ისტორიულ სასაფლაოებზე (43).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მოდერნის სტილის კინოთეატრები. ცნობილია, რომ მოდერნისა და კინოს გაჩენისა და გავრცელების თარიღები თითქმის ერთმანეთს და ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მაშინდელი მსოფლიოს ამ ორი ნოვაციის თანხვედრა ასე წარმატებულად განხორციელდა საქართველოში. ამის საუკეთესო მაგალითია 1909 წელს აშენებული კინოთეატრი „აპოლო“ (44). ის ამაჟამად მძიმე ტექნიკურ მდგომარეობაშია და უკვე აღარ ფუნქციონირებს. კინოდ აღარ მუშაობს აგრეთვე თბილისში 1914 წელს აშენებული კინო “პალასი”, რომლისგან დღეს მხოლოდ შესასვლელი დარბაზი და ფასადის მცირე ფრაგმენტებია გადარჩენილი (45). XX საუკუნის შუა წლებში განადგურდა მოდერნის კინოთეატრები – “მონპლეზირ” (46) ქუთაისში და “აპოლო” ბათუმში. ასე, რომ საქართველოში არსებული მრავალრიცხოვანი კინოებიდან მხოლოდ თბილისის “აპოლო” შემოგვრჩა

მოდერნმა გეგმარების გარდა მშენებლობაც ბევრად გააუმჯობესა საქართველოში. შემოიტანა და დანერგა თანამედროვე სამშენებლო მასალები, მეთოდები, ტექნოლოგიები და სათავე დაუდო სრულიად ახალ, რთულ საინჟინრო-კონსტრუქციულ გადაწყვეტებს არქიტექტურაში, რაც განსაკუთრებით ნათლად ჩვეში მოდერნის სტილის ბანკების მშენებლობაში გამოვლინდა (47).

გარდა ნახაზებისა, მოვიძიეთ მოდერნის შენობების საარქივო ფოტო მასალაც. აღსანიშნავია, რომ ამ შენობებიდან ბევრი დღემდეა შემორჩენილი (48–54).

რაც შეეხება ჩვენი თემის ძირითად ნაწილს, აღვნიშნავთ, რომ თბილისში მოდერნის სტილის 2 გამაჯანსაღებელი ტიპის შენობა გვაქვს შემორჩენილი. 1912 წელს აშენებული ყოფილი “ოლღას საბებიო ინსტიტუტი” და პირველი კომერციული საავადმყოფოს ერთ-ერთი შენობა, რომელიც XX ს-ის ათიან წლებს განეკუთვნება.

ყოფილი “ოლღას საბებიო ინსტიტუტის” ადგილას 1873 წლიდან არსებობდა სამშობიარო სახლი. 1912 წელს, რუსეთის იმპერიის უკანასკნელი მეფის, ნიკოლოზ II-ის დის, ოლღას შემწევობითა და დაფინანსებით ძველი შენობის ნაცვლად ახალი, მოცულობით ბევრად დიდი და კეთილმოწყობილი საბებიო ინსტიტუტი აშენდა (55). ეს შენობა დღესაც თავდაპირველი ფუნქციით მუშაობს,

შენობის ავტორია ცნობილი თბილისელი არქიტექტორი ალექსანდრე როგოისკი. მან მოდერნის სტილის კიდევ ერთი შესანიშნავი შენობა დააპროექტა თბილისში: ყოფილი კავკასიის ოფიცერთა ეკონომიკური საზოგადოების სახლი (1913), რომელიც ახლა “თი ბი სი” ბანკის საკუთრებაა (56).

მიმდებარე ქუჩის მხარეს შენობა ოთხსართულიანია (57). ეზოში კი, რელიეფის გამო ქვედა სართული სარდაფის ფუნქციას იძენს და აქ ის უკვე სამსართულიანია (58)..

ქუჩაზე გამავალი ფასადის ცენტრალური ნაწილი ორი ერკერით და ამადლებული პარაპეტით გამოირჩევა (59). მთავარი შესასვლელის მხარეს ფასადის ცენტრალური ნაწილიც აქცენტირებულია - ორსაფეხურიან რიხალიტს დანარჩენი კედლებისგან განსხვავებული დეკორი და პარაპეტი ამშვენებს (60). ინსტიტუტის სამი ფასადი შელესილია და მოდერნის სტილის სადა და გეომეტრიული ტიპის დეკორით არის გაფორმებული (61-64). მეოთხე ფასადის შელესილობა კი ისეთი თხელია, კედლებზე კარგად ჩანს აგურის წყობა და აქ საღებავიც აგურისფერია გამოყენებული (65).

ინსტიტუტი ეზოს სიღრმეში გრძელდება და გეგმაში წაგრძელებულ მართკუთხედს ქმნის, რომელიც თავსა და ბოლოში განიერი ფლიგელებით თავდება. ეზოში ქუჩიდან შევდივართ და მთავარი შესასვლელიც ამ ფასადზეა განთავსებული, რომელშიც ქვის კიბითა და ფართო ხის კარით ვხვდებით (66). კარს ლითონის კრონშტეინებზე დაყრდნობილი თუნუქის გადახურვა აქვს (67).. შესასვლელში მოზაიკით შესრულებული იატაკი და ლითონის მოაჯირებიანი კიბეა (68). სართულების სიმაღლე 5 მეტრამდეა, ოთახებში ფართო და მაღალი ღიობებია, ინტერიერში მოზაიკით მოშანდაკებული განიერი დერეფნები (69). და ლითონის მოაჯირებით დამშვენებული ფართო კიბეებია (70). აღსანიშნავია, რომ დღემდე მოაჯირის მხოლოდ ერთი ფრაგმენტი შემოგვრჩა დაუზიანებელი (71).

უკანასკნელი წლებია ამ შენობის “განახლება” პერმანენტულად მიმდინარეობს. ცენტრალურ ქუჩებზე გამავალი ორივე ფასადი უკვე “რესტავრირებულია”, ინტერიერში კი ამჟამადც მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. ეზოს მხარეს გამომავალ ფასადზე, ფლიგელის კუთხეში ახალი, შეშინული სათავსო მიადგეს ფასადის მთელ სიმაღლემდე (72).

სათანადო ლაბორატორიული კვლევების გარეშე, მხოლოდ დამკვეთთა, თუ შემსრულებელთა გემოვნების მიხედვით, ცემენტის ხსნართა და ახალი

სადებავეებით განახლდა ფასადების შელესილობა, შეიღება ლითონის დეტალები. სამუშაოების მსვლელობისას დაიკარგა ბევრი აუთენტური დეტალი. თავდაპირველი, ხის კარ-სარკმლების უმეტესობა ფასადებზე მეტალო-პლასტმასით შეიცვალა (73, 74), უკვალოდ გაქრა მთავარ ქუჩაზე არსებული რკინის თავდაპირველი მესერი და ალაყაფი. უკანა ეზოს მხარეს გამავალ ფასადებზე აღდგენითი სამუშაოები ახლა იწყება (75). ამიტომ აქ ჯერ კიდევ შერჩენილია კარ-სარკმლების ძველი ნიმუშები (76). ამ შენობის ისტორია საუკეთესოდ ამსახველი და კარგი მაგალითია იმ სამწუხარო რელობისა, რაც დღეს ძველთა დაცვის სფეროში სუფევს საქართველოში.

მოდერნის სტილის გამაჯანსაღებელი ფუნქციის მქონე მეორე შენობა ყოფილ პირველ კომერციულ საავადმყოფოს ეკუთვნის. ამჟამად აქ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფოს სტომატოლოგიური კლინიკა და კათედრაა განთავსებული. ეს შენობა ნაწილია ორ პარალელურ ქუჩათა შორის მოქცეულ ნაგებობათა იმ ჯგუფისა, რომლის მშენებლობა ყოფილ გერმანელთა უბანში, ჯერ კიდევ XIX ს-ის 60-იანი წლებიდან დაიწყო. მთავარი შენობა აიგო 1868 წელს გერმანელი არქიტექტორის ალბერტ ზალცმანის (1833-1897) პროექტით (77). ის იმ გერმანელთა შთამომავალი იყო, რომლებიც XIX საუკუნის დასაწყისში ჩამოსახლდნენ საქართველოში.

ეს იყო პირველი საავადმყოფო, სადაც მკურნალობა ფასიანი იყო და ამიტომ ეძახდნენ მას კომერციულ საავადმყოფოს. სიძვირის გამო, ის მხოლოდ საზოგადოების შეძლებული ფენისთვის იყო ხელმისაწვდომი. წლების განმავლობაში ამ ტერიტორიაზე შენობებიც მრავლდებოდა და საავადმყოფოს პროფილიც უფრო ფართოვდებოდა. სწორედ ამ საავადმყოფოს ეკუთვნის ჩვენთვის საინტერესო მოდერნის სტილის შენობაც. სამწუხაროდ, შენობის არქიტექტორი, ისევე როგორც მისი თავდაპირველი ფუნქცია და ზოგადად, მისი ისტორია – ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ საბჭოთა პერიოდშიც და ახლაც, როგორც ამ ტერიტორიაზე არსებული სხვა შენობები (78), ასევე აღნიშნული ნაგებობაც სამედიცინო ფუნქციით მუშაობს (79).

შეუღესავი აგურის კედლებით ნაგებ სამსართულიან შენობას საერთო სიბრტყიდან გამოწეული მთავარი შესასვლელის, მის ასწვრივ მდებარე დიობებისა და კედლის სიბრტყე აქვს მოდერნის სტილში დამუშავებული (80, 81), ფასადის დანარჩენ პერიმეტრზე სწორკუთხა სარკმლები თანაბარი რიტმით არის განლაგებული. ამ ფასადზე მხოლოდ ერთი ლითონის შეკიდული აივანია II სართულზე (82, 83). დიობებია გვერდითა ფასადებზეც (84). საინტერესოა უკანა ფასადი, რომლის მეორე და მესამე სართულები ხის ჭვირული აივნებით არის გაწყობილი (85, 86, 87). შენობის ნახევარი აქ უფრო დიდი მოცულობისაა, ის ეზოს სიღრმეში შედის და თავდება ხის კიბით, რომელიც ეზოსკენ ფართო, გახსნილი დიობებით არის მიმართული (88).

მთავარი შესასვლელის კიბე და იატაკი მოზაიკით არის მოშანდაკებული (89). კიბეს ლითონის აპურული მოაჯირი აქვს (90, 91). შენობის გვეგმარება სამივე სართულზე ტიპიურია: ფართო დერეფანი და მის ორივე მხარეს განლაგებული ოთახები. 10 წლის წინ მომხდარი ხანძრის დროს დაიწვა ეზოს მხარეს გამავალი ხის კიბე და მის ასწვრივ არსებული III სართულის ნაწილი (92, 93).

საქართველოში მოდერნი მხოლოდ არქიტექტურაში არ გავრცელებულა. ამ მიმართებით შესასწავლია იმ პერიოდის ჩვენი პოეზია და ლიტერატურა, საგამომცემლო სფერო, მსუბუქი მრეწველობა, სახვითი, დეკორატიული და გამოყენებით ხელოვნება. წარმოვიდგინოთ მოდერნის სტილში შესრულებულ ორ სავიზიტო ბარათს (94), რომელიც თბილისელ და ბათუმელ ფოტოგრაფებს ეკუთვნოდათ, ქართული ცეკვის ნოტებს (95), და ქართველებისთვის საყვარელი გერმანელი პოეტის, ჰაინრიხ ჰაინეს, ლექსების კრებულის ქართული თარგმანის გარეკანს, რომელიც 1913 წელს არის გამოცემული (96),

შესწავლილი მასალა ადასტურებს, რომ მიუხედავად მძიმე კოლონიალური მდგომარეობისა, XIX ს-ში საქართველოში დასადგურებლუმა ხანგრძლივმა მშვიდობიანმა პერიოდმა და ევროპასთან აღდგენილმა კულტურულ-ეკონომიკურმა ურთიერთობამ, ქვეყანას საშუალება მისცა დაენერგა და გავრცელებინა მაშინდელი მსოფლიოს ყველაზე პოპულარული, პროგრესული და იმ დროის თანამედროვე - მოდერნის სტილის არქიტექტურა.

სამწუხაროდ, ბევრი მოდერნის ნიმუში გაქრა უკვალოდ, ბევრი ახლაც ზიანდება. წარმოვიდგინოთ მოდერნის იმ შენობებსა თუ დეტალებს, რაც დაზიანებულია (97-120), და აგრეთვე რაც უკვე აღარ არსებობს (121-125).

მოსვენების დასასრულს, თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების, ბიძინა კვერნაძისა და გია ყანჩელის, მუსიკის ფონზე, გთავაზობთ საქართველოს მოდერნის ნიმუშების კოლაჟს (126-363).

გმადლობთ ყურადღებისათვის,

ნესტან თათარაშვილი

12 მაისი 2008წ.